საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "25" 03 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 352/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 18 მარტის N დმ–17904 განცხადებით კომპანიის „ვლაკტორ ტრეიდინგ ლიმიტიდ" (მის: ზინონოს კიტიეოსი, 8, კატო ლაკატამია, პ.კ. 2322 ნიკოზია, კვიპროსი) წარმომადგენელმა გიორგი თაქთაქიშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „МАРУСЯ" (რეგ. N17904) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „МАРУСЯ" (რეგ. N17904) საქართველოში რეგისტრირებულია 10.10.2007 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 10.10.2017 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 32–ე და 33–ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „МАРУСЯ" (რეგ. N17904) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი წლის ვადით სასაზღვრო

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 189, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 25.03.2013).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანიის „ვლაკტორ ტრეიდინგ ლიმიტიდ“ წარმომადგენელს გიორგი თაქთაქიშვილს (მის: ლუბლიანას ქ. 11, II სადარბაზო, ოფისი 38, თბილისი).

25 03 2013